

2018 წლის 14 მარტის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #36

სხდომის დაწყების დრო: 18:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, ციცილო ცხვედიანი, დათუნა მოდეზაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ტარიელ კაკაბაძე

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება: თათია თოხაძე, მიხეილი მანიჭაშვილი, იზა ბერიშვილი, მარიამ კალანდაძე, გული ქარცხია, ელენე სამადბეგიშვილი, ნინო ზარიძე, ზაალ იოსებაშვილი, ჯემალ გელოვანი, პაატა ლეჟავა, დავით ლიბრაძე, თამარ ფუტყარაძე, გიორგი მძევაშვილი, ზაზა მალუძე, ნანა გვაზავა, ეკა ჯიქია, მარიამ ლაბარტყავა, ანა ბურჯანაძე, სალომე ჩხაიძე, ვახტანგ გედენიძე, თიკო ბაკაშვილი, ხატია ქუბრიაშვილი, დათა გეგეჭკორი, თათია როგავა, არჩილი ბერიანიძე, ლაშა ნაცვლიშვილი, სალომე ჯიბუტი, მარიკა მერებაშვილი, გვანცა დავითაშვილი, ვახტანგ ლაცუზბაია, ივანე კიკნაველიძე, ნინო ზაქარიაძე, ანა

ნებიერიძე, ლიკა ყოყუაშვილი.

2. ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: **სოფიო ქოქრაშვილი, ხვიჩა კვარაცხელია, ლევანი ნიკოლაძე, ამირან ბოლქვაძე, ზურაბ ხარატი, სალომე მარგველაშვილი, მაგული მელაძე, მარიამ თაბაგარი, ეკატერინე ოსაძე, ლალი დოლიძე, მალხაზ შვიდბიჭაშვილი, რამაზ ცხადაძე**

3. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების გაცნობა: **ეკატერინე წაწალაშვილი, გიორგი გოგალაძე, ნინო გვარამია, თამარ ყულჯანიშვილი, გიორგი გამხიტაშვილი, დავით ღვალაძე, სალომე ქემაშვილი, ელენე ქემაშვილი, ნინო გულოშვილი, მევლუდ კუპატაძე, ალიკა დვალაშვილი, ანა მეძმარიაშვილი, გიორგი ჟუჟუნაშვილი, მარიზა მამფორია, ნიკა ჯალიაშვილი, გივი ადამია, მარიამ ელიზბარაშვილი, ლევან ვეფხვაძე, ტამარ მესხი, გვანცა მიქიაშვილი, დავით ცაავა**

4. იური კენჭოშვილის 2018 წლის 12 მარტის განცხადება, დევნილობის სტატუსის საფუძველზე დარჩენილი საწევრო დავალიანების (100 ლარი) გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე

5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სამეგრელოს სისხლის სამართლის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის - **შორენა როგავას** 2018 წლის 06 მარტის განცხადების გაცნობა, ამავე კომიტეტის წევრის - **ლევან მარტიაშვილის** ზეპირი განცხადების საფუძველზე მისი კომიტეტის წევრობიდან ამორიცხვის შესახებ

6. ადვოკატ **სულხან აბულაძის** 2018 წლის 05 მარტის განცხადების განხილვა ფასიანი ტრენინგის გავლისგან გათავისუფლების თაობაზე

7. ადვოკატ **გაბრიელ ხარებავას** 2018 წლის 13 მარტის განცხადების განხილვა ფასიანი ტრენინგის გავლისგან გათავისუფლების თაობაზე

8. ადვოკატ **ნანა ჭყონიას** 2018 წლის 15 თებერვლის განცხადების განხილვა, როგორც ბათუმში მაცხოვრებელ პირზე, გამონაკლისის სახით საწევრო გადასახადზე შეღავათის გავრცელების თაობაზე

9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის - **ანა არგანაშვილის** განცხადების განხილვა

10. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტის გასაჩივრებასთან დაკავშირებით, ერთიანი მიდგომის შემუშავება (მომხსენებელი სასწავლო ცენტრის დირექტორი ქეთევან თურაზაშვილი)

11. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის და ანტიკორუფციულ საკითხთა კომიტეტის“ წევრების დამტკიცება

12. სხვადასხვა

საკითხი#1

წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს: თათია თოხაძე, მიხეილი მანიჭაშვილი, იზა ბერიშვილი, მარიამ კალანდაძე, გული ქარცხია, ელენე სამადბეგიშვილი, ნინო ზარიძე, ზაალ იოსებაშვილი, ჯემალ გელოვანი, პაატა ლეჟავა, დავით ღიბრაძე, თამარ ფუტკარაძე, გიორგი მძევაშვილი, ზაზა მალუძე, ნანა გვაზავა, ეკა ჯიქია, მარიამ ლაბარტყავა, ანა ბურჯანაძე, სალომე ჩხაიძე, ვახტანგ გედენიძე, თიკო ბაკაშვილი, ხატია ქუბრიაშვილი, დათა გეგეჭკორი, თათია როგავა, არჩილი ბერიანიძე, ლაშა ნაცვლიშვილი, სალომე ჯიბუტი, მარიკა მერებაშვილი, ვახტანგ ლაცუზბაია, ივანე კიკნაველიძე, ნინო ზაქარიაძე;

ზემოთაღნიშნული პირების ასოციაციაში გაწევრიანების საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად, წევრებმა მიიღეს

გადაწყვეტილება: საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდეს შემდეგ პირთა განცხადებები გაწევრიანების შესახებ: თათია თოხაძე, მიხეილი მანიჭაშვილი, იზა ბერიშვილი, მარიამ კალანდაძე, გული ქარცხია, ელენე სამადბეგიშვილი, ნინო ზარიძე, ზაალ იოსებაშვილი, ჯემალ გელოვანი, პაატა ლეჟავა, დავით ღიბრაძე, თამარ ფუტკარაძე, გიორგი მძევაშვილი, ზაზა მალუძე, ნანა გვაზავა, ეკა ჯიქია, მარიამ ლაბარტყავა, ანა ბურჯანაძე, სალომე ჩხაიძე, ვახტანგ გედენიძე, თიკო ბაკაშვილი, ხატია ქუბრიაშვილი, დათა გეგეჭკორი, თათია როგავა, არჩილი ბერიანიძე, ლაშა ნაცვლიშვილი, სალომე ჯიბუტი, მარიკა მერებაშვილი, ვახტანგ ლაცუზბაია, ივანე კიკნაველიძე, ნინო ზაქარიაძე.

ასევე, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად,

ვახტანგ ლაცუზბაიას და ივანე კიკნაველიძეს შეუჩერდეთ წევრობა; ამავე კანონის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო ზაქარიაძის განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრები გაეცნენ:

ა) ანა ნებიერიძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი (ჩაბარების თარიღი: 13.12.2009).

წევრებმა განაცხადეს, რომ ზემოთაღნიშნული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი არ არის ვალიდური შემდეგი გარემოების გამო: „ადვოკატთა შესახებ“, საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტით დადგენილია, რომ: „ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა ძალას კარგავს, თუ პირი ტესტირების გავლიდან 7 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას“, ხოლო ამავე კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტი (ტესტირების გავლიდან გასულია 7 წელი) წარმოადგენს გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველს.

განმცხადებელ ანა ნებიერიძეს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისთვის არ მოუმართავს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტით ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატისთვის დადგენილი 7 წლიანი ვადის განმავლობაში, შესაბამისად, აღნიშნული სერტიფიკატის 7 წლის ვადა ამოიწურა 2016 წლის 13 დეკემბერს.

აქედან გამომდინარე, ანა ნებიერიძის მიერ წარმოდგენილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი არ არის ვალიდური.

საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განმცხადებელს - ანა ნებიერიძეს უარი უნდა ეთქვას გაწევრიანებაზე

ანა ნებიერიძის გაწევრიანების საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (გაწევრიანების წინააღმდეგი -8; მომხრე-0) დამსწრე წევრების მიერ მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ანა ნებიერიძის განცხადება გაწევრიანების შესახებ. განცხადების ავტორს წერილობით ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

ბ) ლიკა ყოყუაშვილის მიერ მიმდინარე წლის 12 თებერვალს წარმოდგენილ განცხადებას, რომელშიც ითხოვდა განმარტებას, მიმდინარე წლის 22 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმის თაობაზე, რომლითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, განმცხადებლის ასოციაციაში გაწევრიანების საკითხის გადადების შესახებ მის მიერ დამატებითი დოკუმენტის

წარმოდგენამდე, აღნიშნული განცხადებით ლ. ყოყუაშვილი ითხოვდა განმარტებას, თუ რა ინფორმაციის წარმოდგენა იყო საჭირო, რადგან მის მიერ ა/წლის 22 იანვრის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ შესაბამისი ფუნქცია მოვალეობების მითითებით.

წევრებმა განაცხადეს, რომ მიმდინარე წლის 22 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ლ. ყოყუაშვილის მიერ წარმოდგენილი სპს საადვოკატო ბიურო „კორმახია, ჟღენტი“-დან გაცემული ცნობა ლ. ყოყუაშვილის ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის და აღნიშნულ პერიოდში გარკვეულ პროექტებზე იურისტის მოვალეობების შესრულების შესახებ ფორმულირებით. მსჯელობის შემდეგ, დადგინდა, რომ აღნიშნული ცნობით, არ დადატურდა: ა) ლ. ყოყუაშვილის იურისტის პოზიციაზე მუშაობის ფაქტი, არამედ გამოიკვეთა რომ აღნიშნული პირი იყო ადვოკატის თანაშემწე, ხოლო საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**; ბ) ასევე, არ დადასტურდა ლ. ყოყუაშვილის მიერ სტაჟირების გავლის ფაქტიც, რომელიც ამავდროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან (რომლის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, პირმა სტაჟირების გავლა უნდა დაიწყოს ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში და 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციას სტაჟიორის გამწესების შესახებ), ხოლო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის თანახმად, მას აღნიშნული გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა 2017 წლის 16 დეკემბერს.

აქედან გამომდინარე, ლ. ყოყუაშვილის შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმად ერთწლიანი იურისტად მუშაობის სტაჟი წარმოადგენს იმპერატიულ მოთხოვნას, წევრებმა განაცხადეს, რომ ლიკა ყოყუაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნას შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მის მიერ იურისტის პოზიციაზე მუშაობის ფაქტს; კერძოდ: განმარტებულ იქნას ზემოაღნიშნულ ცნობაში მითითებული პოზიციის - „ადვოკატის თანაშემწე“ მნიშვნელობა, რადგან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, 1-ლი პუნქტის („საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე. იგი არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა“) და მე-2 პუნქტის („ადვოკატის თანაშემწეს უფლება აქვს, შესაბამისი ადვოკატის თანდასწრებით ან მისი დავალებით, ადვოკატის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული ნებართვის საფუძველზე გაეცნოს მის წარმოებაში არსებული საქმის მასალებს სასამართლოში, არბიტრაჟში და

გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში“) თანახმად, ადვოკატის თანაშემწის პოზიცია არ გულისხმობს იურისტის პროფესიულ საქმიანობას. ამდენად, ცნობის გამცემი პასუხისმგებელი პირის მიერ დაკონკრეტებულ იქნას, გულისხმობს თუ არა იურისტის ფუნქცია-მოვალეობებს აღნიშნული პოზიცია.

გადაწყვეტილება: ლიკა ყოყუაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნას ცნობა სპს საადვოკატო ბიუროდან „კორძახია, ჟღენტი“, მის მიერ 2015-2016 წლებში დაკავებული „ადვოკატის თანაშემწის“ თანამდებობით ნაგულისხმევი ფუნქცია-მოვალეობების დაკონკრეტების თაობაზე, რომლითაც დადასტურდება აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მის მიერ იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი.

საკითხი #2:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველთა განცხადებებს: სოფიო ქოქრაშვილი, ხვიჩა კვარაცხელია, ლევანი ნიკოლაძე, ამირან ბოლქვაძე, ზურაბ ხარატი, სალომე მარგველაშვილი, მაგული მელაძე, მარიამ თაბაგარი, ეკატერინე ოსაძე, ლალი დოლიძე, მალხაზ შვიდბიჭაშვილი, რამაზ ცხადაძე

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული:

გადაწყვეტილება: საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილებულ იქნას ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები: სოფიო ქოქრაშვილი, ხვიჩა კვარაცხელია, ლევანი ნიკოლაძე, ამირან ბოლქვაძე, ზურაბ ხარატი, სალომე მარგველაშვილი, მაგული მელაძე, მარიამ თაბაგარი, ეკატერინე ოსაძე, ლალი დოლიძე, მალხაზ შვიდბიჭაშვილი, რამაზ ცხადაძე.

საკითხი #3:

წევრები გაეცნენ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ: ეკატერინე წაწალაშვილი, გიორგი გოგალაძე, ნინო გვარამია, თამარ ყულჯანიშვილი, გიორგი

გამხიტაშვილი, დავით ღვალაძე, სალომე ქემაშვილი, ელენე ქემაშვილი, ნინო გულოშვილი, მევლუდ კუპატაძე, ალიკა დვალაშვილი, ანა მეძმარიაშვილი, გიორგი ჟუჟუნაშვილი, მარიზა მამფორია, ნიკა ჯალიაშვილი, გივი ადამია, მარიამ ელიზბარაშვილი, ლევან ვეფხვაძე, თამარ მესხი, გვანცა მიქიაშვილი, დავით ცაავა.

გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2018 წლის საწევრო აქტით გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავ კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად:

“საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოემვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

ღია კენჭისყრით, წევრებმა ერთობლივად მიიღეს

გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ყველა ზემოთჩამოთვლილ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ. 2018 წლის საწევრო დავალიანების არსებობის შემთხვევაში,

შესაბამის პირებს წერილობით ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდება წევრობა.

საკითხი #4:

წევრები გაეცნენ ადვოკატ იური კენჭოშვილის 2018 წლის 12 მარტის განცხადებას, თანდართული იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი - დევნილის მოწმობის ასლით, რომელიც იყო აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი ერთ-ერთი საშელავათო კატეგორია საწევრო გადასახდთან დაკავშირებით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირი ასოციაციაში გაწევრიანდა მიმდინარე წლის 16 თებერვლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით და გადახდილად ჩათვალა გაწევრიანებისთვის დადგენილი 150 ლარის ნაცვლად, მის მიერ გადახდილი 50 ლარი. შემოთხსენებული განცხადების თანახმად, იგი ითხოვდა დარჩენილი 2018 წლის გაწევრიანების წლის საწევრო გადასახადის (100 ლარი) გადახდისგან გათავისუფლებას ხსენებული დევნილის მოწმობის საფუძველზე.

აღნიშნულ საკითხზე ჩატარებული ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 8: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, ციციწო ცხვედიანი, დათუნა მოდებამე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზამე, ზურა როსტიაშვილი, ტარიელ კაკაბამე, წინააღმდეგი 0) ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს იური კენჭოშვილი განცხადება დარჩენილი 2018 წლის გაწევრიანების წლის საწევრო გადასახადის (100 ლარი) გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი #5:

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ასოციაციის სისხლის სამართლის სამეგრელოს რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარემ - შორენა როგავამ მომართა ასოციაციას განცხადებით და მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამავე კომიტეტის წევრის - ლევან მარტიაშვილის ზეპირი განცხადების განცხადების თანახმად, მას სურდა კომიტეტის წევრობიდან ამორიცხვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათ მიერ ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ასოციაციის სისხლის სამართლის სამეგრელოს რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის - შორენა როგავას განცხადება, ლევან მარტიაშვილის ზეპირი განცხადების განცხადების თანახმად, ამავე კომიტეტის წევრობიდან ამორიცხვის შესახებ.

საკითხი #6 :

წევრები გაეცნენ ადვოკატ **სულხან აბულაძის** 2018 წლის 05 მარტის განცხადებას, ფასიანი ტრენინგის გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე იმ საფუძველით, რომ იგი აპირებდა ასოციაციის წევრობის დროებით შეჩერებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან დღევანდელი მდგომარეობით სულხან აბულაძეს არ აქვს შეჩერებული წევრობა, საბჭო ვერ იმსჯელებს შეჩერებული წევრობის სტატუსის საფუძველზე მისი ტრენინგის გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ. სულხან აბულაძეს განემარტოს, რომ მას შეუძლია მომართოს აღმასრულებელ საბჭოს აღნიშნული მოთხოვნით, მას შემდეგ, რაც წარმოადგენს განცხადებას წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი #7:

წევრები გაეცნენ ადვოკატ **გაბრიელ ხარებავას** 2018 წლის 02 თებერვლის განცხადებას 2017 წლის ფასიანი ტრენინგის გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე იმ საფუძველით, რომ მან 2017 წლის ნოემბერში აღიდგინა ასოციაციის წევრობა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გაბრიელ ხარებავამ 2017 წლის 8 ნოემბერს მომართა ასოციაციას განცხადებით წევრობის აღდგენის მოთხოვნით.

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან 2017 წლის განმავლობაში, ბოლო 2 თვის გრდა, გ. ხარებავა არ ყოფილა მოქმედი სტატუსის მქონე ადვოკატი და შესაბამისად, მას აღნიშნულ პერიოდში არ ჰქონდა სავალდებულო ტრენინგების გავლის ვალდებულება, შესაძლებელია აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით გამონაკლისის დაშვება და მისი ზემოხსენებული განცხადების დაკმაყოფილება.

ღია კენჭისყრის შედეგად (ადვოკატ **გაბრიელ ხარებავას** 2017 წლის ფასიანი ტრენინგის გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე, 2018 წლის 02 თებერვლის განცხადების დაკმაყოფილების მომხრე -8; წინააღმდეგი -0) , მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გაბრიელ ხარებავას 2018 წლის 02 თებერვლის განცხადება 2017 წლის ფასიანი ტრენინგის გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი #8:

წევრები გაეცნენ ადვოკატ ნანა ჭყონიას 2018 წლის 15 თებერვლის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა საწევრო გადასახადზე შეღავათის გავრცელებას გამონაკლისის სახით, როგორც ბათუმში მაცხოვრებელ პირი, რომელიც არ იყო რეგიონში გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დადგენილია საშეღავათო კატეგორია, რომელიც გულისხმობს შეღავათის გავრცელებას საწევრო გადასახადზე (დადგენილი ოდენობის საწევრო გადასახადის განახევრებას) იმ ადვოკატებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ რეგიონის საგადასახადო ორგანოში ფიზიკურ/იურიდიულ პირად რეგისტრაციის გადამხდელის მოწმობა; ასევე, ადვოკატებზე, რომლებიც პროფესიული საქმიანობის ანაზღაურებას ხელფასის სახით იღებენ რეგიონებში რეგისტრირებულ საადვოკატო ბიუროებში, ფირმებში, მათ შორის იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონალურ ოფისებში.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია.

მათ განაცხადეს, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დროს გასათვალისწინებელი იყო სხდომაზე წარმოდგენილი 2017 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებული ადვოკატთა ასოციაციის ბათუმის რეგიონული ოფისის მენეჯერის - თამილა შერვაშიძის და 9 ადვოკატის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომლის თანახმად ადვოკატი ნანა ჭყონია ცხოვრობდა და საქმიანობდა ბათუმში და იხდიდა საწევრო გადასახადს 200 ლარის ოდენობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული განცხადებით ნამდვილად დასტურდება ადვოკატ ნანა ჭყონიას რეგიონში საქმიანობის ფაქტი, რისი გათვალისწინებიტაც მიზანშეწონილია მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით (მომხრე 8, წინააღმდეგი-0) წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ადვოკატ ნანა ჭყონიას 2018 წლის 15 თებერვლის განცხადება და მასზე გავრცელდეს რეგიონში გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ პირებზე საწევრო გადასახადთან მიმართებაში დადგენილი შეღავათი.

საკითხი #9:

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის - ანა არგანაშვილის განცხადება, რომელშიც იგი ითხოვდა აღნიშნული დებულების 3.2.1 პუნქტის შინაარსთან (თავისი ამოცანების

განსახორციელებლად, კომიტეტი აშზადებს დასკვნებს, პროექტებს, რეკომენდაციებს, წინადადებებს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების მდგომარეობაზე ქვეყანაში, რომელსაც წარუდგენს ასოციაციის თავმჯდომარეს და აპარატს) დაკავშირებით გარკვეულ განმარტებას.

წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი განცხადების ირგვლივ. მათ განაცხადეს, რომ ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის კომპეტენციას არ განეკუთვნება ინდივიდუალური საქმეების/მოქალაქეთა საჩივრების დეტალური სამართლებრივი შესწავლა, ფაქტების დადგენა და შესაბამისი კვლევის განხორციელება, იქიდან გამომდინარე, რომ კომიტეტს არ აქვს ფაქტების დადგენის და მოკვლევის ფუნქცია - ვალდებულება.

აღნიშნული პუნქტის შინაარსი გულისხმობს ინდივიდუალური საქმეების გაცნობას და გადამისამართებას შესაბამისი მიმართულებით: კომპეტენციის ფარგლების მიკუთვნების მიხედვით; ასევე, ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების მდგომარეობაზე ზოგადი ხასიათის ტენდენციების გამოკვეთას, შესაბამისი რეკომენდაციების/დასკვნების მომზადებას, რომლის განხილვა/გადახედვის და გაზიარების შესაძლებლობა აქვს აღმასრულებელ საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

საკითხი #10:

სხდომაზე დამსწრე ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა - ქეთევან თურაზაშვილმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის აპლიკანტის მიერ გასაჩივრებულ გამოცდის ტესტს განიხილავს ასოციაციაში საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფი.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არ ეთანხმება აღნიშნული ექსპერტების გადაწყვეტილებას, იგი აღნიშნულ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს საგანმანათლებლო საბჭოში, ხოლო ამ უკანასკნელის კომპეტენციას არ განეკუთვნება აღნიშნული საჩივრის განხილვა. ქ. თურაზაშვილმა განაცხადა, რომ სასურველია ასოციაციამ შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს აპლიკანტისთვის ინფორმაციის მიწოდებას, რომ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის აპლიკანტის მიერ გასაჩივრებულ გამოცდის ტესტს განიხილავს ადვოკატთა ასოციაციაში საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფი, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება აპლიკანტს შეუძლია მხოლოდ სასამართლოს გზით და არა ისევ ადვოკატთა ასოციაციის სტრუქტურულ ორგანოებში.

წევრებმა მოისინეს ინფორმაცია. მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა და ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციაში საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის აპლიკანტის მიერ გასაჩივრებული გამოცდის ტესტის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გზით.

საკითხი #11

სხდომას ესწრებოდა ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე - **რაჟდენ კუპრაშვილი**.

დ. ასათიანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მიმდინარე წლის 16 თებერვალს აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რაჟდენ კუპრაშვილის „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის და ანტიკორუფციულ საკითხთა“ კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების თაობაზე. დღევანდელ სხდომაზე რ. კუპრაშვილმა წარმოადგინა აღნიშნული კომიტეტის წევრობის კანდიდატები: ადვოკატები - გიორგი სულაკაძე, ეკა თორდია და ანა ლელუყვა. რ. კუპრაშვილმა ისაუბრა დასახელებული კანდიდატურების პროფესიული მოღვაწეობის შესახებ.

აღნიშნული კანდიდატები დახასიათებულ იქნენ პოზიტიურად და წევრთა მხრიდან მათზე განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ასოციაციის თავმჯდომარემ - დავით ასათიანმა ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის და ანტიკორუფციულ საკითხთა“ კომიტეტის წევრებად გიორგი სულაკაძის, ეკა თორდიას და ანა ლელუყვას კანდიდატურების დამტკიცების თაობაზე.

წარმოდგენილ კანდიდატებს კენჭი ეყარათ ცალ-ცალკე. ღია და ცალ-ცალკე კენჭისყრის შედეგად, კანდიდატებმა მიიღეს შემდეგი ხმები: გიორგი სულაკაძე - მომხრე 8, წინააღმდეგი 0; ეკა თორდია - მომხრე 8, წინააღმდეგი 0; ანა ლელუყვა - მომხრე 8, წინააღმდეგი 0;

გადაწყვეტილება: „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის და ანტიკორუფციულ საკითხთა“ კომიტეტის წევრებად არცეულ იქნან: გიორგი სულაკაძე, ეკა თორდია და ანა ლელუყვა.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის თავმჯდომარე**